	ფართობს. დაწესებულების მისამართია თბილისი, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N1ბ. აღსანიშნავია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის დროს დაწესებულების მისამართი იყო ტყეკულტურის ქუჩა N3; ტერიტორიაზე ჩატარებული კეთილმოწყობის სამუშაოების შედეგად დამატებით მოეწყო მეორე, საფეხმავლო, შესასვლელი ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან. დაწესებულებამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართა მისამართის ცვლილების მოთხოვნით. დაწესებულების მისამართი შეიცვალა 25 ივნისს. ხაზგასაზმელია, რომ ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში შენობაში ტარდებოდა ინტენსიური სარემონტო სამუშაოები. სარემონტო სამუშაობის დასრულება და შენობის აღჭურვა სათანადო ინვენტარით, დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, მოხდება 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებამდე. შენობა ოთხსართულიანია. შენობის ნაწილია ე.წ. ორსართულიანი კლუბი, რომელიც უკავშირდება შენობას მეორე სართულს. კლუბის ნაწილში უკვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განთავსებულია სკოლის ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი და სააქტო დარბაზი. შენობის პირველ სართულზე მიმდინარეობს სპორტული დარბაზის, 4 საკლასო ოთახისა და გოგონებისა და ბიჭებისათვის განკუთვნილი სველი წერტილების კეთილმოწყობა. შენობის მეორე სართულზე განთავსდება 5 (ხუთი) საკლასო ოთახი, ფოიე, სამზარეულო და სასადილო, სველი წერტილები გოგონებისა და ბიჭებისათვის. შენობის მესამე სართულზე განთავსდება 7 საკლასო ოთახი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, უცხო ენის კაბინეტი, შეხვედრების ოთახი, სამასწავლებლო, ესთეტიკური აღზრდის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, საიზოლაციო ოთახი, ფსიქოლოგის ოთახი, დაცვის ოთახი, დამლაგებლის ოთახი, სველი წერილები გოგონებისა და ბიჭებისათვის. შენობის მეოთხე სართულზე დამატებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია 7 დიდი და 10 მცირე ზომის საკლასო ოთახის მოწყობა. იგეგმება სულ 17 საკლასო ოთახის მოწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შენობას აქვს 527.28 კვ.მ. ფართობის სხვენი. დაწესებულება სამომავლოდ გეგმავს მის კეთილმოწყობას და სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებას. დაწესებულებას აქვს 5 ჰა ფართობის გამწვანებული, შემოსაზღვრული, ტერიტორია. ტერიტორიაზე, ღია სივრცეში, მოწყობილია გარემო გაკვეთილის ჩასატარებლად. ეზოს ფართობი შესაძლებლობას იძლევა ერთდროულად რამდენიმე კლასს ჩაუტარდეს გაკვეთილი გარე სივრცეში, ისე რომ მათ ერთმანეთის ხმები არ გადაფარონ.
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N1ბ
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.16.02.002.045.
კვ.მ.	მიწის ფართი - 50000.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობა 3658 კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	· ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 25/06/2021 · იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 24/06/2021 · ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მწვანე სკოლას“ გაფორმებული აქვს ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „ლუქს გრუპთან“ მოსწავლის 300 მერხის (მაგიდა და სკამი) შესაძენად; გაფორმებულია ნასყიდობის ხელშეკრულება შპს-თან „PMG“ 17 სასკოლო დაფის შესაძენად. გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად შეძენილი საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს 2021 წლის 01 სექტემბრამდე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· ნასყიდობის ხელშეკრულებები; · გასაუბრება ადმინისტრაციათან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის პირველ სართულზე გამოყოფილია ფართი სპორტული დარბაზისათვის. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა დარბაზის კეთილმოწყობის სამუშაოები; მიმდინარეობს გასახდელებისა და საშხაპეების, ასევე, მეორე სართულიდან დარბაზში ჩასასვლელი (შიდა) კიბის მოწყობა. სპორტულ დარბაზს აქვს ეზოში გასასვლელი კარი. დაწესებულებას შეძენილი აქვს სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის ბურთები, ფრენბურთის ბურთები, ჰულა-ჰუჰი, სახტუნაო, ბადმინტონის ჩოგანები და ბურთი, ჭადრაკი, კეგლი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· სასაქონლო ზედნადები; · გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	· ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობაში გამოყოფილია ოთახი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორის მოსაწყობად. სკოლა მოაწყოს თანამედროვე, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ლაბორატორია. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესში ცდებისა და ბუნებაზე/გარემოზე დაკვირვებების საწარმოებლად სკოლა გამოიყენებს მის საკუთრებაში არსებული გამწვანებული ტერიტორიის შესაძლებლობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· ადმინისტრაციასთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა და ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. მიმდინარეობს სველი წერტილების კეთილმოწყობა. შენობაში სულ 9 სველი წერტილია. მათგან 2 სველი წერტილი განკუთვნილია მასწავლებელთა სარგებლობისათვის. სველი წერტილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კეთილმოწყობა მიმდინარეობს შენობის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ქვითრები; · ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ეწყობა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში განთავსდება მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი წიგნადი ფონდი, სამკითხველო სივრცეები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· სასაქონლო ზედნადებები; · შპს „მწვანე სკოლის“ ბიბლიოთეკის დებულება, დამტკიცებული 15/03/2021; · ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობაში მიმდინარეობს კიბის უჯრედის ადაპტირება. დაწესებულებაში მიმდინარეობს სველი წერტილების მოწყობა ეტლით მოსარგებლე პირებისათვის შენობის პირველ და მესამე სართულებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· ვიზუალური დათვალირება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მწვანე სკოლა“ ფლობს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; 20 კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. დაწესებულების საკუთრებაშია სულ 31 კომპიუტერი და 3 პრინტერი. დაწესებულება გეგმავს საკლასო ოთახების ჭკვიანი დაფებით აღჭურვას (SmarT board). შპს „მწვანე სკოლა“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე იყენებს შპს „თბილისის მწვანე სკოლის“ ვებგვერდს. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ამავე მიზნით უკვე ფუნქციონირებს შპს „მწვანე სკოლის“ გვერდი სოციალურ ქსელში სახელწოდებით „მწვანე სკოლა - ნაძალადევი“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· სასაქონლო ზედნადებები; · ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, 25/03/2021. · ვებგვერდი https://greenschool.ge/ · სოციალური ქსელი https://www.facebook.com/nadzaladevigreenschool

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	· ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მწვანე სკოლას“ შეძენილი აქვს 16 ერთეული ცეცხლმაქრი. ცეცხლმაქრები დასაწყობებულია სკოლის შენობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· სასაქონლო ზედნადებები; · ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობისათვის მომზადებულია საევაკუაციო გეგმები. საევაკუაციო გეგმები დასაწყობებულია სკოლის შენობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· სასაქონლო ზედნადები; · ხელშეკრულება საევაკუაციო გეგმების მომზადების თაობაზე; · ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში მოწყობილია ექიმის ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· სასაქონლო ზედნადებები; · ხელშეკრულება ექიმთან; · გასაუბრება ექიმთან; · ექიმის კაბინეტის ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მწვანე სკოლას“ შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ პროექტი, რომელიც გაგზავნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგიების შტაბი. დამტკიცებულია შპს „მწვანე სკოლაში“ კორონავირუსისათვის მზადყოფნისა და რეაგირების სამოქმედო გეგმა. შპს „მწვანე სკოლას“ ჰყავს დარაჯი/დაცვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· შპს „მწვანე სკოლის“ „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ პროექტი · სასაქონლო ზედნადებები; · ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელების პერიოდში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები შენობაში, ასევე შენობის გარე ფასადზე. შესაბამისად, სკოლის შენობის პერიმეტრის კონტროლისათვის არ იყო განთავსებული უსაფრთხოების კამერები. სკოლის ეზოში, რომელიც ვრცელ ტერიოტორიას მოიცავს, უკვე დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები. დაწესებულებას შეძენილი აქვს უსაფრთხოების კამერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· სასაქონლო ზედნადებები; · ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მწვანე სკოლას“ შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი და საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შინაგანაწესი განსაზღვრავს შემდეგ საკითხებს სამუშაო დრო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შრომითი ურთიერთობის პირობები, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, მასწავლებლის ვალდებულებები, სასწავლო გარემო, დისციპლინური წარმოება და სახეები, სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, განცხადების/საჩივრის განხილვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს „მწვანე სკოლის“ დებულება, დამტკიცებული 15/03/2021; შპს „მწვანე სკოლის“ შინაგანაწესი, დამტკიცებული 15/03/2021; შპს „მწვანე სკოლის“ საქმისწარმოების წესი, დამტკიცებული 15/03/2021
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები. გრძელვადიანი გეგმა წარმოადგენს კომპლექსურ დოკუმენტს, რომელშიც იმთავითვე განსაზღვრულია პრიორიტეტები: • მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საქმიანობების მონიტორინგისა და სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა; • სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებების ხელშეწყობა; • ადამიანური რესურსების მართვა; • სასკოლო კულტურის გაუმჯობესება; • მატერიალური რესურსების მართვა. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და დახვეწას, ასევე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. სკოლის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს დროს კიდევ უფრო საინტერესო იდეები მოვისმინეთ ინფრასტრუქტურის განვითარებაასა და ტერიტორიის სასწავლო მიზნებთან შესაბამისად მოწყობის შესახებ, რაც, სამწუხაროდ, არ არის არეკლილი სტრატეგიულ გეგმაში. ექვსწლიანი გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია შესაბამისი წესით (შპს „მწვანე სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N2, 31 მარტი 2021 წ.) და ემყარება სიტუაციურ ანალიზს, რომელიც თან ერთვის წარმოდგენი დოკუმენტაციას. გეგმები მოიცავს შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალს, ვადებს, პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(ავტორიზაციის განაცხადის შევსების მომენტში წარმოდგენილი იყო გეგმების პროექტები. ვიზიტის დროს აღნიშნული პროექტები უკვე დამტკიცებული იყო შესაბამისი წესით).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· SWOT ანალიზი; · ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა (2021-2027); · მწვანე სკოლის ერთწლიანი გეგმა; · ინტერვიუ სკოლის ხელმძღვანელობასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და დოკუმენტაციის აღრიცხვა. სკოლას აქვს შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები, ბრძანებათა რეგისტრაციის ჟურნალი, ინვენტარიზაციის წიგნი, შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, შესყიდვის ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	-
რჩევები:	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი: დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ბუღალტერი, მოადგილე, საქმისმწარმოებელი, IT მენეჯერი, დაცვა, ფსიქოლოგი, ექიმი, დასუფთავების მუშაკი, მარკეტინგისა და სოციალური მედიის მენეჯერი, მასწავლებელები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· ხელშეკრულებები; · პირადი საქმეები; · საშტატო განრიგი; · საათობრივი დატვირთვა; · ბრძანებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	39
მოწვეული/მაძიებელი	12 (+1 პირობებიანი ხელშეკრულება)
პრაქტიკოსი მასწავლებლი	-
უფროსი მასწავლებლი	25
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მწვანე სკოლის“ მასწავლებელები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა პირადი საქმეები მოიცავს ცნობებს ნასამართლეობისა და სქესობრიბივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· ხელშეკრულებები; · ბრძანებები; · პირადი საქმეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მწვანე სკოლის“ შინაგანაწესი განსაზღვრავს მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს. სკოლას შემუშავებული აქვს წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. მასწავლებელთა მიღება ხორციელდება კონკურსის გზით. სკოლა ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია აქვეყნებს სამსახურის მაძიებელთა ვებ-გვერდებზე, მათ შორის ვებ-გვერდზე - teachersjobs.ge.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· შპს „მწვანე სკოლის“ შინაგანაწესი, დამტკიცებული 15/03/2021
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად. ხელშეკრულებები არის დანომრილი და აღრიცხული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები; • ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი. დაწესებულებაში იგეგმება ტრენინგები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ პროფესიული განვითარებისათვის წარმატებით გამოიყენებენ ურთიერთთანამშრომლობის სტრატეგიას; შპს „მწვანე სკოლას“ გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „თბილისის მწვანე სკოლასთან“. მემორანდუმის თანახმად, ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები, ერთობლივი პროექტები ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, 15/03/2021 · ადმინისტრაციასთან გასაუბრება; · მასწავლბელებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან გასაუბრება წარიმართა დისტანციურ რეჟიმში. მასწავლებელთა უმრავლესობას აქვს „თბილისის მწვანე სკოლაში“ მუშაობის“ გამოცდილება. ისინი გამოხატავენ მოლოდინსა და მზაობას, რომ „მწვანე სკოლაში“ შექმნიან ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს, კეთილგანწყობილ გარემოს, რომელშიც პრიორიტეტული იქნება მოსწავლის ინტერესები. მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში მასწავლებელთა მხრიდან ყურადღება გამახვილდა მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნასა და ღირებულებებზე. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლა, საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით, ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა; სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· სასკოლო სასწავლო გეგმა; · გასაუბრება მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	-
რჩევები:	-
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი **09 ივლისი, 2021 წ.**

გვერდების რაოდენობა - 41 (ორმოცდაერთი)

41

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.